



პროექტის მოკლე აღწერა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში



ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის დამკვიდრების, ქალთა ქმედუნარიანობის გაძლიერებისა და ყველა ადამიანისთვის მდგრადი განვითარების მიღწევის წინაპირობად სულ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირული ამოცანები შეთანხმებულია მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით, რომლის მიზანია “არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა” და შემცირდეს არსებული უთანასწორობები.

პროექტის “ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში” (WEESC) პირველი ძირითადი ეტაპი 2018 წლის აგვისტოში დაიწყო. იგი მიზნად ისახავს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ქალების, განსაკუთრებით კი ღარიბი და სოციალურად გარიყული ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის მხარდაჭერას.

პროექტის გავროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი გავროს განვითარების პროგრამასთან მჭიდრო თანამშრომლობით (სომხეთსა და აზერბაიჯანში) ახორციელებს. მას შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) აფინანსებენ.



დაწყების თარიღი: 2018 წლის აგვისტო
(ხანგრძლივობა - 36 თვე)
დაწყების თარიღი: 3,755,000 აშშ დოლარი
სამიზნე რეგიონები:
აზერბაიჯანი - ბაქო-ხაზარი, გუსარი და საბირაბადი
საქართველო - ვახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი
სომხეთი - გელარკუნიკი, შირაქი

არსებული ვითარება

გენდერული უთანასწორობის შემცირების თვალსაზრისით, ბოლო წლებში აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, გარკვეული პროგრესი შეინიშნება. თუმცა, რამდენიმე საერთაშორისო ინდექსი გვაჩვენებს, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკაში ქალთა სრული და კაცების თანასწორი მონაწილეობის მისაღწევად კვლავაც ბევრია გასაკეთებელი.



ქვეყანა	გლობალური გენდერული განსხვავების 2017 წლის ანგარიში, ადგილი 144 ქვეყანას შორის ¹	გლობალური გენდერული განსხვავების შესახებ 2017 წლის ანგარიში, ქვეინდექსის ქულა: ქალთა მონაწილეობა ეკონომიკაში და მათთვის არსებული შესაძლებლობები ²	სოციალური პროგრესის ინდექსი (2018), ადგილი 146 ქვეყანას შორის ქვეინდექსში: არასტაბილური დასაქმება (კაცები და ქალები) ³
აზერბაიჯანი	98	0.717	109
საქართველო	94	0.669	112
სომხეთი	97	0.671	94

თუ არაფორმალურ ეკონომიკაში ქალთა არაპროპორციულ ჩართულობასა და მთელ მსოფლიოში მათ არასტაბილურ დასაქმებას გავითვალისწინებთ, სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობის შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემები სრულ სურათს არ იძლევა. თუმცა მონაცემები მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში ქალები პროდუქტიულ წლებში სამუშაო ძალაში კაცებზე ნაკლებად მონაწილეობენ. სამუშაო ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობის სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებლები აღნიშნულ სამ ქვეყანაში 6-19 პროცენტულ ერთეულს შეადგენს. ამასთან, სამივე ქვეყანაში ქალები, საშუალოდ, ნაკლებ შემოსავალს გამოიმუშავენ, ვიდრე კაცები.

ქვეყანა	სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი (%)	სამუშაო ძალაში კაცების მონაწილეობის მაჩვენებელი (%)	სამუშაო ძალაში მონაწილეობისას გენდერული განსხვავება მრომის ანაზღაურებაში (პროცენტული ერთეული)	ქალების შემოსავალი კაცების შემოსავლის პროპორციულად
აზერბაიჯანი ⁴	68	74	6	50
საქართველო ⁵	58	75	17	64
სომხეთი ⁶	53	71	18	

სოციალური და კულტურული ბარიერები, სამუშაოს გენდერული ნიშნით დაყოფა და საოჯახო საქმესთან დაკავშირებული აუნაზღაურებელი შრომა, ქალების მუშაობის წასახალისებლად არსებული სუსტი ფინანსური მოტივაცია, რაც ქალებისა და კაცების შრომის ანაზღაურების განსხვავებაშიცაა ასახული, იმ ძირითად დაბრკოლებებს წარმოადგენს, რომლებიც აზერბაიჯანში, საქართველოში და სომხეთში ქალების შემოსავლის მომტან საქმიანობებში მონაწილეობას ხელს უშლის.

მოსალოდნელი შედეგები

შედეგი 1: ქალები, განსაკუთრებით კი ღარიბი და სოციალურად გარიყული ქალები, იყენებენ უნარებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებს და შესაბამის ინფორმაციას თვითდასაქმების და/ან ანაზღაურებით დასაქმებისთვის (სამოგადოების დონე);

შედეგი 2: სომხეთი და საქართველო წერგავენ შესაბამის საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოებს, რომლებიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს (პოლიტიკისა და კანონმდებლობის დონე);

შედეგი 1: სომხეთსა და საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, მთავრობა და საჯარო დაწესებულებები აყალიბებენ და წერგავენ გენდერულად სენსიტიურ პროგრამებს, საჯარო სერვისებს, სტრატეგიებსა და გეგმებს (ინსტიტუციური დონე).

განხორციელების სტრატეგია

ცვლილების თეორიის თანახმად, ყოველმხრივი მიდგომის და საზოგადოების წევრების, პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციების დონეებზე ურთიერთდაკავშირებული ჩარევის დახმარებით, პროექტი ძირეულ ცვლილებების შესაძლებლობას შექმნის. აღნიშნულის მიღწევა ქალებთან თანმიმდევრული დიალოგისა და მათი მონაწილეობის მეშვეობით განხორციელდება, რათა შესაბამისი ინსტიტუტები, პოლიტიკა, კანონმდებლობა და სერვისები მათ საჭიროებებსა თუ მოთხოვნებს პასუხობდეს და შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების მქონე ქალებს თავადვე აძლევდეს ეკონომიკურად გაძლიერების საშუალებას. ასევე, პროექტი ხელს შეუწყობს შესაძლებლობათა განვითარებას, რათა გენდერული საკითხები შესაბამის კანონებსა და სხვადასხვა პოლიტიკაში, პროგრამებსა და სერვისებში ინტეგრირდეს და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერების ხელშეწყობა სტაბილურად მოხდეს.

¹ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (2017), ანგარიში გლობალური გენდერული უთანასწორობის შესახებ <http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2017/>

² ქლა 1 ნიშნავს აბსოლუტურ თანასწორობას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (2017), ანგარიში გლობალური გენდერული უთანასწორობის შესახებ <http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2017/>

³ სოციალური პროგრესის ინდექსი (2018), სოციალური პროგრესის ინდექსი <https://www.socialprogress.org/>

⁴ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი (2018), „ქალები და მამაკაცები აზერბაიჯანში“ <https://www.stat.gov.az/source/gender/?lang=en>

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018), „ქალები და მამაკაცები საქართველოში“ <http://geostat.ge/gender/doc/W&M%20GEO-2018.pdf>

⁶ სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის კომიტეტი (2018), „ქალები და მამაკაცები სომხეთში“ https://www.armstat.am/file/article/gender_2018.pdf